


პირველი
ბიულეტენი



№ 11 ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი № 11

წლიური ხელის მომწვდომი:

პირველ პრემიით მიეცემა: სტუდენტის მოთხოვნა „სახლი ვოლგის ნაპირზე“.
მეორე პრემიით: ირეთელის ახალი მოთხოვნებიანი პიესა „სიცილი“.
პირველი წიგნი დაურიგდებათ თებერვლის დამღვეს. მეორე — აგვისტოს პირველ რიცხვებში, ვინც თებერვლის გასვლამდე სრულად შემოიტანს მთელი წლის ფულს ორივე წიგნს მიიღებს.

შინაარსი: ვ. რუხაძე — ლექ. დემონს. ფაკირაძე — მოთხ. ბამონოვება (ტურგენევისა). კ. გოგოლაძე — ლექ. ლაკარგულ ნუგეზს. ს. პართენაშვილი — მოთხ. სანდრო. მ. ქუჩიშვილი — ლექ. ნაღველი. დ. თურდოსპირელი — მოთ. სალამოს ჟამს. ლომანსო — ლექ. სასაფლაოზე. ვ. მალაქიაშვილი — დრამ. შავი გველი. თურდოსპირელი — ლექ. მოძმის საფლავი. არჩ. რუხაძე — ესკიზი. საბრალო ქალი. შვარცი — პენრის იბსენი. — ი. რუსულ ახალ მწერლობის ისტორია.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სახლი სხივი

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გამოდის ყოველ დღე, გარდა კვირა უქმის შემორე დღეებისა. გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. ქალაქ გარეთ: 3 თვით — 2 მან. 50 კ. 1 თვით — 90 კ. თფილისში: 3 თვით — 2 მან. 20 კ. 1 თვით — 80 კაპ.

ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ Типографія „Шрома“. Калистрату Константиновичу Цуладзе.

საუბრაობისოდ მოწუობილი

სტამბა „გეგლვითი საქმე“

ბ. კილაძისა თბილისში

ველიამინოვის ქ., № 6

ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს სუფთად და იაფად.

სსივი

ზ ი ნ ა ა რ ს ი:



11 №

კვირა, 21 თებერვალი ერაყელ-კვირეული სსივიტერატურო ჟურნალი 1910 წ.

დ ე მ ო ნ ს.

გაშლილ მთა-ბარსა თოვლი ფარავდა,
ნაკადულს ედვა ყინულთ ბორკილი
და მწარეთ კვნესდა ტყე-მინდორ-ველი
ტანჯვის უღელ ქვეშ რკალებრ მოხრილი.

მეც ქედს გიხრიდი მაშინ დემონო,
მაგრამ აწ არ მსურს გეყმო, გემონო!

ფერი იცვალა უკვე ბუნებამ,
საგაზაფხულო სიომ დაბერა
და ცასა მოწყდა ცვარი, ციმციმით
ვარდსა დაეცა, ააელფერა.

მეც შევიცვალე... ჰოი, დემონო,
არ ძალმიძს კვალად გეყმო, გემონო!

გაზაფხულისა სიტკბო-სიამე
რაკი ვეგემე, რაკი ვიამე,
ვერ დავთმობ, ვერა, სანამ სიცოცხლის
არ დამიკნება ნაზი ია მე.

მაშ შორს, შორს ჩემგან, ავო დემონო
ტყულათ ნუ ფიქრობ გეყმო, გემონო!

ვ. რუხაძე.

გამოთხოვნა.

(ტურგენევის)

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, იმ დროს, რო-
დესაც რუსეთის თავად-აზნაურობას ჩვეულებათ
ქონდა ერთი მეორესთან სტუმრათ მსივლა მთელი
ოჯახობით.

ვ. რუხაძე — ლექსი დემონს. ფაკირაძე — შოთს. გაშა-
თხოვება (ტურგენევის). კ. გოგოლაძე — ლექსი. დავარ-
კულ ნუგეშს. ს. პართენაშვილი — შოთს. სანდრო.
მ. ქუჩიშვილი — ლექსი. ნადეჟდი. დ. თურდოსპირე-
ლი — შოთს. სდამას ჟამს. ლომანსო — ლექსი. სსსა-
ფლავსე. ვ. მალაქიაშვილი — დრამა. შავი გველი.
თურდოსპირელი — ლექსი. შოთსის საფლავსე. არჩ.
რუხაძე — ესკიზი. საბრადო ქალი. შვარცი — ჰენ-
რის იბსენი. — ი. რუსულ სახლ მწერლობის ისტორია.

ერთხელ მე თვითონ მომიხდა ასეთ ძველებურ
ოჯახში რამდენიმე დღით სტუმრობა იქ თავს იყ-
რიდა მთელი ადგილობრვი საზოგადოება. ახალ-
გაზდა ქალები და კაცები თავდავიწყებით ეძლეო-
დენ დროს გატარებას, ხეივნებში სეინრობა, ყი-
ნულზე ცურაობა და სხვა და სხვა თამაშობა — აი
ყველა ის რითაც ჩვენ ვერთობოდით ყოველ დღე.

ახალგაზდა ქალებში ჩემი ყურადღება მიიპყრო
ერთმა — ეს იყო სტუმრათ მოსული ქალი
დიასახლისის ამხანაგი. ის არც ისე ლამაზი იყო,
მაგრამ მისმა ღრმა აზროვანმა თვალებმა უნებლიეთ
მიიპყრო ჩემი ყურადღება.

მე მულამ ვგრძნობდი, რომ ამ თვალების
გავლენის ქვეშ ვიყავი და თავი ვერ დამეხწია მისგან.

მე ვცადე მასთან ლაპარაკი. ის მულამ ხმა მა-
ღალი არა ბუნებრივი სიცილით მიპასუხებდა. მისი
სიტყვები მაინცა და მაინც საინტერესო არ იყვენ.

ბოლოს დადგა წასვლის დროც. ჩემთან ერ-
თათ მოდიოდა მასპინძლის შვილი. უკვე ყველაფე-
რი მოამზადეს, ყველას გამოვეთხოვეთ და ის იყო
კბებზე ჩამოვდიოდი, რომ ზევიდან ვილაცის ხმა
მომესმა.

მე მივიხედე, ჩემს ზემოდან ივიანზე იდგა ის,
ხელები აივნის მოაჯირზე დაეყრდნო და დაფიქრე-
ბული თვალებით ჩამომცქეროდა.

ერთბაშათ ძლივს ვიცან ის, ისე შესცვლოდა
სახე. ის მკვდარივით გაფითრებულიყო. თვალები
გაფართოებოდენ და ცეცხლივით ანათებდენ. ათრ-
თოლებულ ტურებზე მწარე ღიმილი დაკვდომოდა.
ბოლოს ძლივს ძლიობით აკანკალებულის ხმით წარ-
მოსთქვა:

— წამიყვანეთ თან!... წამიყვანე!

— მაგათ მე მიყვარ... სად? — ძლივს წარმო-
ვსთქვი მე, თავ-ზარი დამეცა.

— წამიყვანე აქედან! სამუდამოთ!
უცბათ სასოწარკვეთილი ხმით დაიძახა მან და
ორივე ხელემა ჩემსკენ გამოიშვირა.

— საყვარელო მეგობარო! რას გვაცდევინებ! —
მომესმა ქვევიდან მეგობრის ხმა.

მე საჩქაროთ ჩავიბინე კიბე და რამდენიმე
წუთის შემდეგ ეტლში ვიჯექი. მეეტლემ ცხენები
გააქანა. ჩვენ შემოუარეთ ეზოს და ისევ სახლს
დაუბირდაპირდით. მე თავი მაღლა ავიდე.

აივანზე ისევ ისე იდგა ახალგაზდა ქალი, იმედ
დაკარგულს ხელები დაბლა დაეშვა და უზაროთ
თვალები გაეშტერებია. უცბათ ერთი წუთით მან
თავისი ღიდრონი თვალები ისევ შემომანათა. მე ამ
თვალებში უსახლდრო საყვედური ამოვიკითხე.

შევნიშნე, რომ აივანზე მასთან ვილაღ მივიდა
და დაელაპარაკა. ჩემ ყურამდე მოახწია მისმა ხმა-
მაღლმა სიცილმა. თითქოს ყველაფერმა გაიცინა
ჩემს გარშემო. ვიცინოდით ჩვენც და გულ დამ-
შვიდებით მივექანებოდით ეტლით მტვრიან ქუჩაზე.
მაგრამ რაღაც გამოურკვეველი მდელვარება არ
შეშორდებოდა. მე არ ვეკიახებოდი ჩემს თავს კარ-
გათ მოვიქეცი თუ ცუდათ. მაგრამ რადენიმე წლის
განმავლობაში ჩემის მესხიერებიდან არ ამოშლილა
ახალგაზდა ქალის სახე ჩემსკენ გამოწვდილ ხელე-
ბით.

ფაკირაძე.

დაკარგულ ნუგეშს.

ვერ დავივიწყებ იმ ნეტარ დროსა:
იმედის სხივში ღელავდა გული,
ტკბილათ მღეროდა ჩანჩის სიმები,
სიყვარულითა ათრთოლებული...

ცას გადასცლოდა შავი ღრუბელი,
დაგვექათათებდა პირბადრი მთვარე,
გზას გვინათებდა, გზას შევებისაკენ!
დამის გუშავი სხივ-მოელვარე.

გაფურჩქენილ მდელოს ციური ნამი
გულს აიაზმათ ეპკურებოდა
და მგოსნის ჰანგი, ტრფობითა მთვრალი,
მიჯნურს უკენესდა, თავს ევლებოდა...

შვებას მოეცო მთელი ბუნება,
ყვავოდა ველი, ყვავოდა მთები,
კრინტს ველარ ძრავდა სული ბოროტი;
გამარჯვებისა გრგვინავდა ხმები!...

იმედის სხივში ღელავდა გული,
ვერ ვშორდებოდი მე ჩემს სატრფოსა,
თმას ვუსწორებდი, გულში ვეკროდი...
ეს ასე იყო იმ ნეტარ დროსა!...

მუდამ მახსოვხარ, სწორო სულისა,
შენგნით იწყო კვლავ სიმებმა ჟღერა,
გულს მყევხარ ხატათ ჩასვენებული,
ვერ დავივიწყებ, ვერა და ვერა!..

მარა სადღაა ის იმედები,
სადღაა ახლა ის აღტაცება!...
დღეს ჩემი ჩანგი სევდამ შეიპყრო,
დღეს იმის ხმები ცრემლებათ დნება!..

შენ ჩემთან იყავ არა ოცნებით,
არამედ ცხადათ, სინამდვილეში...
ტუჩში გკოცნიდი, — თვალებში, შუბლში, —
თავს გვევლებოდი, გეკვროდი მკერდში...

ცრემლებს გაფრქვევდი სიხარულისას,
შენ ყავდი ჩემ გულს მხსნელ ფარად ერთი, —
ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში,
ჩემი ცხოვრება და ჩემი ღმერთი!..

დღეს კი სად მყევხარ?... აღარ ხარ ჩემი!..
შენკენ მოვილტვი გიჟურ ოცნებით...
დღეს ოცნებათა ვადამქცევხარ...
ესულდგმულობ მხოლოთ ტკბილ მოგონებით!

წამართვეს იგი ქაჯებს ყავს ტყვეთა...
ვერ შევიძელი... ველარ დავიხსენ...
დაგძებ, ტურფავ რათ არ ხარ ჩემი!..
ჩემო ნუგეშო, მე დაგტირი შენ!..


კ. გოგოლაძე.

ს ა ნ დ რ ო .

(დასასრული იხ. სხივი № 10).

ლიზა დაიბადა სოფელ ბოშურის ერთ დაცე-
მულ და დაქვეითებულ გლეხის ოჯახში. დასაწყლე-
ბული და სოფლის აპუჩათ აგდებული ზალიკა
ლიზას მამა, წელგებზე ფეხს იდგამდა, სისხლის
ოფლს იწურავდა, მაგრამ ერთხელვე მოლიპულ
გზაზე დაქანებულ ოჯახს ველარას შევლიდა.

ვალეში ჩაფლული მისი ოჯახი უკან-უკან
იწვედა, დაგირავებული ხელის გულის ტოლა მა-



მული მას ზედი-ზედ ხელიდან მისდიოდა; ზალიკას დღით-დღე ფეხქვეშ საცხოვრებელი ნიადაგი ეცლებოდა და სოფლის დუხჭირ ცხოვრებიდან ირიყებოდა. მის ცხოვრების წყაროს გარეშე სამუშაო შეადგენდა, რომელსაც საუბედუროთ მუდამაც ვერა შოულობდა.

მწარე გაქირვებამ და ყოველ მხრავ გზა-შეკრულმა მდგომარეობამ ზალიკა ცოლ-შვილიანათ თავის სოფლიდან აბარგა და თფილისისაკენ გააქანა, სადაც მუდმივი სამუშაო მოიპოვებოდა. სოფელში მან მხოლოთ კარ-გამოკეტილი პატარა ქობი და დღე ნახევრის დაგირავებული მიწა და დასტოვა.

ქალაქში ზალიკა დიდი-ხნის ცუდაობის და აქეთ-იქით მიხეთქ-მოხეთქების შემდეგ ერთ რკინეულობის ქარხანაში შავ მუშათ დადგა.

ლიზა ამ დროს ათის წლისა იქნებოდა. მშობლებთან და ორ პატარა ძმასთან ერთათ ის სიღარიბის ცეცხლზე იწოდა, იდაგოდა და ტანჯვა-ვაებაში იზრდებოდა. მაგრამ ბრმა ბედს უნდოდა, რომ მათზე უფრო შხამიანათ ეხარხარა. შრომისაგან გამოფრტული და ცხოვრებისაგან გაწამებული ზალიკა მოულოდნელათ ლოგინათ ჩავარდა და თქვენი ქირი წაიღო, მკითხველო, მაგრამ თავის ისედაც დაცემული ოჯახი კი უფრო დიდ ქირ ვარამში ჩაადო.

ოჯახის ბურჯის წაქცევამ და თავის ანაბრათ დატოვებამ ჯარასავით უფრო სწრაფათ დაატრიალა უნუგეშოთ დარჩენილი წვრილ-შვილებით ბაბაღე, რომელსაც მთელი ოჯახი დააწვა კისერზე. დამშრალ წყაროს ნაცვლათ, რომელიც ზალიკას საწყალ მარჯვენადან მოწანწკარებდა, ოჯახისთვის აუცილებელი შეიქმნა ახალ, სხვა წყაროს აღმოჩენა.

შავებში შეგრაგნილ დამდნარ და გაძვალ-ტყავებულ ბაბაღეს ბავშვები სიმშლით და სიტიტვლით ეხოცებოდა, მაგრამ მხსნელი კი არსაიდანა სჩანდა. ბაბაღეს ყველამ ზურგი შეაქცია: აი ამან. უფრო გააღმასა ბაბაღე, რომელიც გაათკეცბულის ენერგიით ამოძრავდა და ამოქმედდა. ის ქორივით მარდათ დასტრიალებდა თავის ყვაილებს და მათ ცხოვრების სუსხისაგან თავის შავი კაბით იფარავდა.

ხანმა გაიარა. ბაბაღემ დიდი ხვეწნა—მუდარით თამბაქოს ქარხანაში იშოვა ადგილი, სადაც რაშოდენიმე ხნის შემდეგ თავის ლიზაც მიაღებინა. ბაბაღემ ცოტა არ იყოს შეღავათიანათ ამოისუნთქა. დედა-

შვილი შრომის კაპეიკებს ერთი მეორეზე აწებებდენ და მით სულ-შეხუთულ ოჯახს სულს უბრუნებდენ.

ლიზა ბუნებით ფხიზელი და დაკვირვებული ნიქის პატრონი იყო. სოფლის სკოლამ მას წერა-კითხვა ასწავლა, რაც მას ხელს უწყობდა გულ-დასმით წიგნების კითხვაში. ქარხნის ატმოსფერო გაქლენთილი იყო რაღაც ახალი, დიდებული მისწრაფება—იდეალებით, რომელიც ლიზამ თანდათანობით შეითვისა, შეისისხლ-ხორცა. აღვრთოვანებული, ახალგაზღურ იმედებით აღსავსე ლიზა ყველაფერს აფერადებული ოცნების სათვალეებით აქტერდებოდა, სიხარულით ფთხრიალობდა, ყვავოდა. ლიზა სინამდვილეს ვერ ურიგდებოდა და ფრთა-შესხმულ ოცნებათა სამყაროში მალლა-მალლა დაჰქროდა, სწრაფათ მიმოსრიალებდა და ბრწყინვალე მნათობ იდეალისკენ მიილტოდა.

სიცოცხლით სავსე, სანეტარო ახალგაზრდობამ ლიზა მშვენიერ და ტურფა ყვაილათ გადაუჭქნნა. მთვარესავით ბადრ პირისახეზე მას ეშხით სავსე შავი თვალ-წარბი მომხიბლველათ გადასქიმოდა, რომელიც ყველას გულს სიამოვნებით უტოკებდა. ნათელ სახეზე მას განუშორებელი მომაჯადოებელი და თავ-ბრუ დამსხმელი ღიმილი დასთამაშებდა. ლერწამსავით სწორი, ნარნარი და მოხდენილი საშუალო ტანი მას მკვირცხლათ ემორჩილებოდა. მისი ერთი შეხედვაც კი თვით გულ-ქვა ადამიანს თბილათ და ტკბილათ გააღიმებდა; სიცოცხლე მოძულელებულს სიცოცხლეს შეაყვარებდა.

ლიზა ახალ თაობის საქმეში ჩაება და ჩქარა საპატიო ადგილიც დაიჭირა.

სხვებთან ერთათ საერთო რყევის და შეჯახ-შემოჯახების მსხვერპლი შეიქმნა ლიზაც, რომელიც როგორც მოუსვენარი და საექვო პირი არამც თუ ქარხნიდან, თბილისიდანაც კი იქმნა გაძევებული. მასთან ერთათ უსარგებლო მწვარსავით გამოტყორცნილ იქმნა ქარხნიდან ბაბაღეც.

ბრმა ბედის ჩარხი კვლავ უკუღმა გადატრიალდა. საარსებო წყაროს მოწყვეტილი ბაბაღე ბავშვებიანათ იძულებული შეიქმნა ქალაქისათვის თავი დაენებებია და კვლავ ძველი კერა გაეღვიძებინა, გაეჩიღებინა.

VI

ბევრი დევნილი აქეთ-იქით გაიბნა, გაიფანტა და მიყრუებულ ადგილებში შეეფარა.

დევნილების ბედს იზიარებდენ სანდრო და ლიზაც, რომლებიც თბილისის მივარდნილ უბნებში

ფარულათ ცხოვრობდენ. დრო მიდიოდა, მიგორავდა, ბევრი ბუზი ეხვეოდა, ებმეოდა, დაგებულ ქსელში, ბევრი თავს ახწევდა...

მოხდა ის, რაც იყო მოსალოდნელი... სანდრო და ლიზა ერთ კრებაზე დაიქირეს და ციხეში გაგზავნეს...

უზარმაზარ კოცხალთა სასაფლაოში შთაინთქენ და ჩაიძარხნენ სიცოცხლით და იმედებით აღსამსე ცოლ-ქმარი, რომელთაც ცივი ღიმილით მისალმენ რკინის მაგარი დარჯაკები, ოთხი უგულო კედელი, უზარმაზარი ბოქლომი და მასთან ერთათ სიკვდილსავით ატუხული ზედამხედველი გასადებით ხელში...

უცნაურ ცხოვრების უცნაურმა ირონიამ მათ ციხეშიაც შეჭლიმა: მათი თავ-დავიწყებული სიყვარულის ნაყოფმა ციხეში იხილა სინათლე... ტუსად დედ-მამას ტუსადი ქალიშვილი დაებადათ, რომელიც ერთ ხანს მათან ერთად იხდიდა სასჯელს...

ნეტარმა მშობლიურმა სიყვარულმა მძლავრათ აატოკა მათი მშობლიური გული, რამაც მათ ცალ-ცალკე საკნებში ჩაკეტილებს ტანჯვა გაუთქეცა. ცოცხალ კუბოში ცოცხლათ ჩამარხული დედა უზომო მშობლიური სიყვარულით აღსავსე თვალებით დასცქეროდა თავის პატარას და გატაცებით ეკონებოდა. პატარა კოკორი პასუხათ ხელებს ანგარიშ-მიუცემლათ ასავსავებდა, პატარა თვალებს გაკვირებული აცეცებდა და გულში ახლათ ჩასახულ იმედსავით ბავშურის ღიმილით უაზროთ იღიმებოდა...

დრო კვლავ გადაბრუნდა, გადატრიალდა, რომელმაც სანდრო და ლიზა შორეულ საყინულეში გადასტყარცნა, მათი პატარა სიცოცხლე კი თბილისში სხვებს ჩააბარა...

VII.

ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა. ახლათ გაღვიძებული ბუნება მწვანე ხავერდით და ნაირნაირი ყვავილებით კეკლუცდებოდა.

ლურჯათ მოკრიალებულ ცის კამარაზე მზე კარგა მაღლა შემართულიყო. თბილისი ჩვეულებრივათ აბობოქრებულიყო და ახმაურებულიყო. ქუჩებში ხალხი კიანჭველასავით ფუსფუსებდა; მათ მოშლილ-მოდუნებულ ძარღვებში ბუნების სიდიადეს სიცოცხლის ნექტარი აეჩუხჩუხებინა. მზიარული გაზაფხული ყველას და ყველაფერს თავისებურ ბეჭედს ასვამდა.

მამადავითის მიხვეულ-მოხვეულ გზაზე, იქ, სადაც ზევით მიმავალი გზა მთის შუა კალთაზე


გადატეხილიყო და შემდეგ აღმოცენათ მაღლა შემართულიყო, გამართლებული და ღრმათ ჩაფიქრებული ობლათ იდგა ვინმე ახალგაზდა და მის თვალწინ ხელის-გულსავით გადაშლილ ქალაქს დანადგლიანებულის თვალებით დასცქეროდა.

ოდნავი დაკვირვების შემდეგ თქვენ ამ უცნობში იცნობდით სანდროს, მაგრამ... სადღა იყო სიცოცხლით აღსავსე, ხალისიანი, ცოცხალი და მოძრავი სანდრო; გამხდარ-გაყვითლებული, მიღეული სახე, მიმქრალი მიბნედილი მწუხარე თვალეები, სევდის ღარებით დასერილი შუბლი, მწარე ნადვლით მოკუმული მოთეთრო ტუჩები... ერთი თვალის გადავლებაკი უსიტყოთ და მკაფიოთ მჭკრმეტყველობდა მის უზომო, უადამიანო ტანჯვაწამებაზე, სიბეჩავზე...

გახუნებული, დაგლეჯილი მოკლე პალტო, შავ ხალათზე წითელი წვრილი სარტყელი, თვალეებზე წამოფარებული „კეპკა“, აი მისი გარეგანი შეხედულება, რომლის შიგნით დაავადებული და გაწამებული გული სევდიანათ ფართხალებდა. გულჩათხრობილი სევდა-მოცული დაშტერებოდა ის ბობოქარ ქალაქს და გონების თვალით ჩვეულებრივ ფურცლავდა წარსულ მოგონება-ხსოვნათ კონას. განვლილმა წამების გზამ მას თავის და უნებურათ შეაყვარა გამართლებით ჩუმათ ყოფნათ თავის ფიქრებთან და გრძობებთან ერთათ, რომლებსაც ის მუდამ ჩხრეკავდა, ქეჩავდა, აკრიტიკებდა. ასეთ მდგომარეობის დროს ის რაღაც გამოურკვეველ ნეტარებასა და სიტკბობებასა გრძობდა. მის დაკოდილ, დაწყლულებულ გულს წარსულის მოგონებანი მალამოსავით ხვდებოდენ. მაგრამ იმავე დროს ტკივილებსაც უორკვებდენ. ის თითქოს სტკებოდა და იმავე დროს უზომოთაც იტანჯებოდა, მეორეს მხრივ იმავე ტანჯვაში რაღაც ჩუმ სიტკბობებასაც გრძობდა.

ის გადასცქეროდა წარსულს და უკვირდა, თუ ასეთს მოკლე ხანში, სულ რაღაც სამ-წელიწადში რამდენათ გამოიცვალა ცხოვრება, ხალხი, ქვეყანა; რამდენათ გამოიცვალა თვითონ, რამდენი იცხოვრა, იტანჯა, ეწამა, გამოიცადა, ისწავლა. ის ახლა თავის თავს ძლივდა სცნობდა; პირზე უნებლიეთ მომდგარი მწარე ორონიულის ღიმილით ის თავის თავს ხან მოხუცებულ ახალგაზდას, ხან ახალ-გაზდა მოხუცს უწოდებდა.

...გაჰქრა, წავიდა, სიზმარსავით გაიბრინა სინათლით და სიხარულით აღსავსე წარსულმა, რომელიც სადღაც შორს, შორს უფსკრულში ჩაიძარხა,



მის თაზე მესხავით გადირანრახა, გადინარხარა გრი-
გალმან. და კვლავ გულ-შემზარავი წყვილიაღი
ჩამოწვა...

...აგერ მის თვალ-წინ ცოცხლათ აიმართენ
ლიზას და პატარა გვრიტის გასხივოსნებულ-გაბრ-
წყინვებული ცოცხალი ხატებანი, აგერ, აგერ სხვა
სათაყვანო სურათებიც; რომლებიც მის გონების
თვალ წინ რიგ-რიგათ გარბიან საღდაც შორს,
შორს უსახლვრო ბნელ სივრცეში... მას გული
სამგლოვიანოთ აუკვნესდა, აუქვითინდა: თვლები-
დან ორი დიდი, მარგალიტი-ცრემლი გადმოგვიარდა
და ძირს მამადავითის გორას დაეპკურა...

VIII.

შუა ღამე იქნებოდა; მთვარე კარგა შემოღლე-
ბულიყო; ცაზე ღრუბლების ნაგლეჯები მიდი-მოდი-
ოდენ. მათ შორის მორცხვ პატარაღლსავით ხან
გამოშვებით გამოიხედავდა ბადრი მთვარე, ჩამოი-
ლიმებ-ჩამოიციანებდა, უხვათ ჩამოაფრქვევდა ძირს
თავის ვერცლის ფერ სხივებს და კვლავ შავ ღრუ-
ბლებში შეიბურებოდა.

ცხინვალის ხეობას ღრმათ ჩასძინებოდა, რო-
მელსაც სამარისებული მყუდროება-სიჩუმე თავს დას-
ტრიალებდა; მხოლოთ გიჟი ღლიახვი მიჰქროდა, მიშ-
ხუილებდა და მიძინებულ არე-მარეს დაუსრულებელ
ტყბილ ნანას დაჰმღეროდა.

ღლიახვის პირათ ტრიალ მინდორზე მწყობრათ
ღამღგარი ძნები ჩამწყრივებუღიყვენ, რომლების
შორისაც მიიკლანებოდა პატარა ბიღიკი; შორს
ცის დასავალისაკენ შავათ მოსჩანდა ფერღობში გაკ-
რული სოფელი. აი ამ სოფლისაკენ მტკიცე ნაბიჯით
მიეშურებოდა ვიღაც მგზავრი, რომელიც ყურებ-
აკვეტიღი წინ და უკან ფრთხიღათ გაიციკირ-
გაპოიციკირებოდა; არსაიდგან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა;
მხოლოთ კვლავ ერთ ხმაზე გამბული შხუოდა გიჟ-
მაჟი ღლიახვი, რომელიც ქვევით თავ-დაუქტერღათ
მიაქანებდა თავის ლურჯათ მოკამკამე წყლის ტალ-
ლებს...

მგზავრი ჩქარის ნაბიჯით მიაბიჯებდა და გზას
სწრაფათ ამოკლებდა. მის გულს დაგა-ღუფი გაჰ-
ქონდა; აგერ ის მიუხლოვდა გზის პირათ აჰპარ-
ტენღულათ ამართულ ასი წლის მუხას... ის მოწი-
წებით ერთხანს შეჩერღა მის ძირში, შემღღგ სატ
რფოსავით მავრათ შემოხვია მას ხელი, გულში ჩაი
კრა, ჩაიხუტა და... ათროღლებუღის ტუჩებით
მის ფულტროს ეამბოღრა...

აგერ ცის ტატნობზე უფრო გარკვევით გამო-
ჩნდა სოფელი... უცნობის გული საგულღეში ძალღუ-
მათ ატოკღა, აფთხრიღღდა; რამოღენიმე ნაბიჯიც
და ის სოფლის ბოღღს ბნელ ორღობღეში შევი-
ღოღა...

უცბად, თითქოს პირ-ღია ბნელ ორ-ღობღემ
გამოსტყორცნაო, გაჩნდა ოთხი კაცი, რომლებიც
მისკენ ჩქარის ნაბიჯით მიიღართებოღენ.

უცნობი ერთ ხანს შეღღა; მას სახეზე სწრაფათ
შიშის ოფღმა გადაკრა, მავრამ მან გული ჩქარა
გაიმაგრა და კვლავ წინ გაბღღულათ გასწია.

— რომელი ხარ, ბიკო; მწარღთ შესძახა ოთხ-
ში ერთმა დაწინაურებულმა და უცნობს მხრიღან
გაღმოგღებუღი თოღუ გაუსწოღა.

— შესღღგ, არ გაინძრე, თორღემ გაგაქტობღ,
დასქყვიღა მეორღემ.

უცნობი თავში დაკრულსავით გაქვავღა; ტან-
ში შიშის ქარმა გაურბინა და ფოთოღლსავით აათრ-
თოღა...

— თქვენ ვიღა ხართ; მე უბრაღლო მგზავრი
ვარ, რა გინღათ ჩემგან... გული მოიღა უცნობმა,
რომელსაც ოთხი გაშიშვლებული თოფის ლულა
შესტქერღა.

— აა, გიცან, გიცან, ეგ თქვენა ბრძანღებით
სანღრო ტეტიაშვიღი, რომელიც ჩვენ წინაღმღღგ
აგიტაციას ეწვეით... მაგისათვის ახლავე უხვათ და-
გაჯიღღოვებს ვანო ბერაშვიღი. იგრიღლა თოფმა
და სასიკვტაღოთ გაგმირული სანღრო დააბარბაცა.
გავარღა კიღღგ სამიც და ის მოსხვეპიღი დაეცა
ღეღამიწაზე.

— იუღავ, მოღაღატე, ამოიგმინა მომაკვღავმა.

ვანომ პასუხათ მას თოფის ლულა თავზე დააღო
და ჩახმახს თითი გამოჰკრა... ძირს ბაღახზე ტვინი
და სისხლი დაინთხა, რომელსაც ვანო ერთ ხანს
კმაყოფიღების ღიმიღით დასტქერღა....

მთვარემ ღრუბლებიღან ჩამოიხეღა ცოღვიღ-
ღეღამიწაზე, სწრაფათ დააფრქვია თავის სხივები
სანღროს გაშხღართულ გვამს, ოთხ ჯაღათს და
თითქოს ეს სურათი შეგზარაო, კვლავ შავ ღრუბღე-
ბში შეცურღა, შესრიღღდა.

ს. პართენაშვიღი.

ნ ა ღ ვ ე ლ ი .

საწყობაბი.

I.

განვშორდი სოფელს,
ყოვლად უღმობელს;

კრუს,

დაუნდობელს;

ყრუს,

არრის მთხრობელს,

და გავემართე შორს მინდორ-ველათ;
გარს შემოსეულ ფიქრთ გასართველათ!

II.

გარტიერაჟისას ყვაველთა შორის
ფერ-მკრთალი სახით
მიმოვდიოდი;

მაგრამ კაეშანს სიო მთა გორის,
ვერ მაცილებდა...

კენესდი, ვჩიოდი!

III.

გონ-არეული,
იმედ—მსხვერული;

მწირი, ეული

ვეძებდი საფარს;

მარა ძლეული;

სული წყეული...

დევნილთა შორის დაბადებული

თვალ ახვეული,

ძალ-მიღეული,

ძველ ღმერთებისგან შეჩვენებული

როგორ ვპოვებდი

მე იმა ტაძარს?!...

IV.

სადა ხარ სატრფოვ!

სად ხარ ღვთაებავ!

ცისა და ქვეყნის

მშვენიერებავ!

მო, სული მხდება

— შენ გვედრება—

ისწრაფე ჩემსკენ ბედნიერებავ!

მაკმარე ტანჯვა,

ნორჩი გულის წვა,

და შეიბრაღე მძებნელი შენი!

მო, გამობრწყინდი,

გაჰფანტე ბინდი,

განმიცისკროვნე ცხოვრების დღენი;

რომ მეც ვიხილო მზე სხივ მომფენი,

„წყვედიადს“ გადავცე ესდენი, სენი!...

გ. ქუჩიშვილი.

საღამოს ქამს...

(გაგრძელება იხ. „სხივი“ № 10)

იქ კი, ქალაქის განაპირა უბნებში, მანქანები დაუდგრომელ მოძრაობაში იყვნენ, განცხრომის ძენი აქრომ სასოებით ეგებებოდნენ ნაზ შემოღამებას, იქ მუშა ხალხს ნებას არ აძლევდნენ ღამით მაინც დაესვენებინათ აუტანელ ჯაფისაგან მოშვებული კუნთები, რა არის მანქანები ერთი წუთითაც მუქთათ არ შეჩერებულიყვენ, დაბანდებულიყვენ. საშინელ აგონიაში მწარეთ გმინავდა მანქანის საფლეთ ხორცათ გადაქცეული მუშა ხალხი, მაგრამ შორს კი ვერ აღწევდა; მას აყრუებდა მშფოთარე მანქანის გუგუნე და მაქოების გამაღებული ტრილ-ზუზუნნი...

სწორეთ ამავე დროს, მთა წმინდის ჩამოსახვევითან ერთ ოთახში ახალგაზდა ყმაწვილი მაგიდას მისჯდომოდა, მას ვერ იტაცებდა ვერც მთვარის სხივთა თამაში, ვერც ზეცის ქათქათი, ვერც ზეფირის ტანში ჟრუანტლის მომგვრელი ამბოჩი და ვერც მთაწმინდაზე მოკისკასე ქალების ნავარდობა. მისი ფერმკრთალი სახე და დანაღვლებული თვალეზი, ცხადათ მოწმობდნენ, რომ ის სხვებსავეთ ქარაფშუტულ ცხოვრებაში არ ატარებდა დროს, რომ მას ახალგაზდობაშივე ბევრი ბრძოლა შეხვედროდა უღმობელ ხვედრთან და მწარე სამსალაცა ჰქონდა ნაგემი. მას წინ ეღო დიდებულ სოციალ-ეკონ. მკვლევარის ნაწარმოები და დაკვირვებით ჩასქროდა შიგ. მას ხან და ხან სახე გაუბრწყინდებოდა და თავს მალლა აიღებდა... ეს მაშინ მოხდებოდა, როდესაც აძოიკითხავდა მანუგეშებელ ამბებს. საქიროა მშრომელი ხალხის გულ-შემატკივრობა მეტი ენერგია, მეტი სიბზიზღე გამოიჩინონ. საქიროა მეტი კულტურა და შეგნება—განვითარება შეიტანონ შიგ. გააცნონ მშრომელ ხალხს თავისი მდგომიარობა,

ყველა ეს გააღვივებს მათში კლასობრივ ინსტიქტს, გაუღვიძებს გულში მომავლის იმედებს რომ ის შარვანდუპივით გაბრწყინებული შევა შრომის სამეფოში. *მანამდე კი მას ცხოვრების დიდი დაკვირვება ესაჭიროება, რომ გართულებულმა ცხოვრების მექანიზმმა მას დიდი მსხვერპლები არ გამოსტაცოს, თავიანთ ქსელში არ გააბან ლიბერალურ ნიღბ აფარებულმა ბურჟუაზიის მონამოსამსახურე პარტიებმა და თავიანთი ცრუ დოღმატებით არ დაუხშონ კლასობრივი შემეცნება, მას ესაჭიროება ზღაპრული არგუსის მრავალი თვალეები; რომ ყველა მოვლენას ანგარიში გაუწიოს, მას ესაჭიროება მეგობრები, რომელნიც ხელ ჩაჰკიდებენ და შეუძლებინებენ გაუმკლავდეს სამტროთ მოსეულ მტერსა, — მეგობრები განსაკუთრებით თვით მუშა ხალხის წრიდანვე გამოსულნი, რომელთაც შესძლეს და რის ვაი ვაგლახით მისწვდენ სწავლა განათლებას, ამ უცხო ხილს მათთვის და შეეცდებიან გადმონერგონ კულტურა მუშა ხალხში, გაუნათონ წყვედით მოკლე გზა, თუმცა მკრთალი, მაგრამ სანათით... ამ გზაზე მიმავალს, ამ აზრების დამსახველს კი საჭიროა მტკიცეთ ჰქონდეს გადაწყვეტილი ხალხისათვის სამსახური, იგი არ უნდა წარიტაცოს წუთიერმა სიტუბოებამ, განუშორებლათ უნდა თან სდევდეს ჩაგრულ გვემულებს... აი საით მიმიწოდებს მომავალი და მეც სიამტკბილობით შევეგებები მას. ნეტარებით შევწირავ ჩემს პირად ბედნიერებას; ამ დიად საკაცბრიო ტრავზზე, მის წინაშე დავიწვები და წმინდა გუნდრუკათ დავიკმევი, რომ გადავიხადო ჩემი ვალი, შევასრულო ჩემი მოწოდება...

აქ მას უეცრივ რაღაც მოსაზრებამ გაუელვა თავში და ინსტიქტირათ მოიხედა გვერდზე. სარეცელზე ძველ-ქვეშ-საგებში იწვა მისი დედა და ოდნავ სუნთქავდა. საბრალო ცარიელ ძვალ-ტყავათ იყო ქცეული და აი ქაბუკს უცებ გაახსენდა ის, თუ რა რიგათ მოელოდა მშობელია დედა შეილის მიერ სასწავლებლის დამთავრებას, რომ მთელი ცხოვრება საშინელ ტანჯვაში განვილილს, მოხუცობაში მაინც არის ღირსებოდა ადამიანური ცხოვრება. მოაგონდა ყველა ეს და ცრემლის დაბალუბით გადმოედინა ლაწვებზე.

„დედავ, ჩემო საყვარელო დედავ, შენ იყავი ჩემი მასაზრდოებელი, ჩემი სულის ჩამდგმელი, მხოლოდ შენმა თავგამოდებამ დამაფაჟკაცა... და აი ეხლა ელი ჩემგან ტვირთის შემსუბუქებას.“

ვიცი რომ შენი დამაშვრალი ძვლები და ნემსისაგან დაჩლევტილი თითები შესვენებას ელიან,

ვიცი რომ, შენი ქუთუთოებში ჩაცვიფრებული მომხარული თვალეები მუდარით და ვედრებით მე შემომმკერძიან. მაგრამ რა ვუყო ჩემო ძვირფასო, რომ ვერ შემიძლიან პირადი კეთილ დღეობა მაშინ, როდესაც ათასი და ათათასი შენისთანა მიმქრალი თვალეები მდულარე ცრემლების მფრქვეველია...

მიყვარხარ დედავ, მაგრამ ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ ვერ შეუდგები რაიმე მოხელის ადგილის ძებნას, როდესაც ჩემივე თანამომენი უფიცობაში სულსა ლაფავენ. ჩემი შენდამი სიყვარული ის იქნება დედავ, რომ განწირულებაში ჩაუარდნილებს ნუგეშის ხმებს მივაწვდენ, ოდნავ მაღამოთ მაინც მოვეცხობი მშრომელთა გაღიზიანებული წყლულებს. ჩემი მათდამი თავ-განწირვით მკრთალათ მაინც გაუნათებ ეკალ ნარით გაბარდულ გზას, მცირედაც მაინც გაუქარვებ სევდებით დაჩიავებულ გულს; სწორეთ ესეთივე სამაგიეროს გადახდა იქნება შენი ამაგისა ჩემო დედავ და ნურც მისაყვედურებ, რომ ესეც ვარჩევ. ჯერ ჩვენთვის არ დამდგარა წამი, — კმაყოფილებით ამოვისუნთქოთ და ნეტარებით განვლოთ ჩვენი ცხოვრება... აქ ის მოწინებით ეამბორა მშობლის გატანჯულ სახეს და კვლავ წიგნის კითხვას შეუდგა.

გარეთ მოსეირნე ხალხი თან და თან იშლეზოდა და პირზე ტკბილი ღიმილით მიეშურებოდა შინისკენ, რომ ძვირფას სასახლეში ნეტარებით მისცემოდა დამატკობელ სიზმრებს.

ლორჯე, ზღვასავით მოქათქათე ცა მოციმციმე ვარსკვლავებით თხელ ნისლეებით იბურებოდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ მოწმენდილიყო, ბედნიერთა ნერვები ნეტარებით გაეღიზიანებინა და მსუბუქი ფრთებ შესხმულნი, ოცნების სივრცეში საფრთა-ნავარდოთ შეესროლა.

დ. თურდოსპირელი.

სასაფლაოზე.

(ქ. ნ.—დას, ხსოვნას)

ირგვლივ სიჩუმე, სრული სიწყნარე!
„არსაიდან ხმა, არსით ძაბილი“,
მალლიდან მთვარე შუქს აფენს მკრთალათ,
დაბლათ ცაცხვი დგას ტოტებ დახრილი...

და იქ, მის ჩრდილ ქვეშ მარხია გმირი —
მტრის გან ნაძლევი—თავგანაწირი
თავისუფლების წინამორბედი
ხალხის მოსარჩლე, ხალხისა გზირი!

აგერ მის გვერდით კიდევ მეორე
ისიც ქომაგი დაჩაგრულების:
ქვრივ-ობოლ ღარიბთ ძმა—მეგობარი
შემშრობი ცრემლის ბაღამ—წყლულების...
იქვე მესამე... და ასე მწყობრათ
გმირი გმირს მისდევს დაუსრულებლივ;
ღამის გუშაგიც თავს დაჰქათქათებს
ბულბულიც უსტვენს ღღე—მუდამ ირ-
გელივ?

და მეც აქა ვარ ამ გმირთა შორის,
რომ მათ გულის თქმა გაუზიარო;
რას ვაქნევ ცოცხლივ მკვდრათ მიჩნეულებს
მათთან რა მინდა, რისთვის ვიარო?
ისევ აქ გიჯობს ამ საფლავთ შორის,
ვისთანც წარსული მე მაკავშირებს,
სადაც ვიგონებ ჩემს იდეალსა
მტრისაგან მისთვის ნაწამებ გმირებს...

ლომანსო.

შ ა გ ი გ ვ ე ლ ი .

ღრამა სამ მოქმედებათ და ოთხ სუჩათად.

(შემდეგი იხ. „სხივი“ № 10)


გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ე ა მ ს ე

(ბერი და ელისაბედი).

ბერი. დედაკაცო სანამდის გინდა, რომ მაწვალო
აგრე? სანამდის გინდა მდიო კულში?
ელის. გიორგი, ჩემო გიორგი! შემობრალე, რამ შე-
გაძულა ჩემი თავი? მე შენ ვერ მოგშორდები,
შენ ხარ ჩემი იმედი, მე შენ მოგანდევ ჩემი
თავი! ვერ მოგშორდები, მიწაში უნდა ჩაგყვე!...
ბერი. ქალო, რა გინდა ჩემგან? განა დღეს გაიგე ეს
ამბავი? მას შემდეგ, რაც მოძრაობა დაიწყო.
მე ოჯახის არა ვარ, ჩემსა და მის შუა ნაპრა-
ლია! მე მან მხარი ვერ ამბავ, იცი (პაუზა)
ვიბრძოდი საზოგადოებისათვის, სისხლს ვღვრი-
დი, ქვეყნად სამოთხის დამყარებაზე ვფიქრობ-
დი!. მარა მოვტყუვდი, შევცდი... დიხ! ყვე-
ლაფერი ამაო ყოფილა!.. აქ ხსნა არ არის,
უნდა იქ იქ.. იქ.. (ცისკენ აშვერს ხელს.)
და ეხლა მე ღვთის სამსახური მინდა, სულის

ცხონებაზე ვფიქრობ, საიქიოს ვიმზადებ...
მიშლი ხელს, ნუ!..

ელის. გიორგი, შენ თვალებს ხუჭავ, არც აქაური
წუთისოფლის გასაჭირი გინდა ნახო, და საი-
ქიოსაც იმზადებ! მე კი; აქაც ტანჯვა, იქაც
ვინ იცის რა?
ბერი. ვინ გიშლის, რომ შენც ჩემსავით მოიქცე?
შეუდგე ღვთის სამსახურს...
ელის. მეც რომ შენსავით ხელები დავიკრიფო, შეი-
ლებს რა ვუყო, ვინ უბატონებს მათ?
ქუჩაში ხომ ვერ გავყრიო?! განა ესეთის საქ-
ციელისათვის ღმერთი ცხონებას მოგვანი-
ჭებს? მე რომ შენსავით მოვიქცე, ვერასოდეს
ვერაფრით ვერ გამოვისყდი ამ ცოდვას, ვერა-
ფერი ლოცვა ვერ მიხსნის ჯოჯოხეთიდან,
ბერი. ნუ მსჯელობ დედაკაცურად! ქრისტიმსოქმე-
თუ თვალი გიშლის სამოთხეში შესვლას, მოი-
თხარე ისაო და ასე უნდა ქნა შენცა...
ელის. გიორგი, ხომ არ გაგიჟდი, ქკუზე ხომ არ
შემცდარხარ. რას ამბობ ამას!
ბერი. ხომ გაიგონე რაც ვსთქვი?
ელის. განა ჩემი შვილი რომელიც მე ნებას არ მაძ-
ლევეს. შენებრ ლოცვას შეუდგე, უნდა მოვკლა?
უნდა თავიდან მოვიშორო? განა ამას იტყოდა
ქრისტი! ეს შეუძლებელია!
ბერი. შენ არ გესმის რას ამბობ დედაკაცო.
ელის. როგორ თუ არ გესმის? ვაი ჩემს დღეს! მაშ
შენ ამ აზრით მიატოვე ცოლშვილი? მე რომ
არ ვაყვდე მათ პატრონათ, რა ეშველებოდათ,
ხომ დაიხოცებოდენ!..
ბერი. დედაკაცო! გაიგე მე რას ვამბობ! ღმერთზე
მალალი ვინაა ქვეყნად? მას ყველა და ყველა-
ფერი უნდა შეეწიროს მსხვერპლად. ის, ვი-
საც ღმერთი უყვარს, დატოვებს ცოლს, შვილს,
დედას მამას, აილებს ჯვარს და შეუდგება მეუ-
ფეს, მისს დიდებაში გაატარებს თავის სიცო-
ცხლეს... მას, ვისაც უყვარს ქეწმარიტება,
ვინც მოშორებია ბრუდევ. გზას განუდევნია
თვალთაგან ლიბრი, მას ვიმეორებ ვერაფერი
ვერ დაუდგება წინ! ის უძლველია, ზღვას
დააშრობს რწსენით, მთებს შეძრავს! შენ არ
იცი რას ნიშნავს ქეწმარიტებისთვის თავ
დადება, იცი შენ რომ ჩემებრ გიყვარდეს ქე-
წმარიტება-მეუფე, აგრე არ მოიქცეოდი! უარ-
ყოფდი წუთი სოფლის წუთიერ სიამოვნებას,
მაიფურთხებდი ანგარებით აღსავსე აქაურობას



და ჩემებრ ბერათ აღიკვეცებოდი! იცი? გაიგე? კლის. გიორგი, შენ ცდები! შენს გამო სამი ადამიანი ვიტანჯებით, შენ ხარ ჩვენი ტანჯვის და უბედურების მიზეზი, ტყვილათ გგონია, რომ ღმერთი...

ბუკი. თქვენი ტანჯვის მიზეზი მე სრულებით არა ვარ! ამის მიზეზი ცხოვრებაა! განა როცა მე ოჯახში ვიყავი, არ იტანჯებოდით? განა მაშინ სიამის ცხოვრება გეკონდა? (პაუზა) ამასთანავე ფრთხილად მოიქეცი, ჩირქს ნუ სცხებ იმ წმიდათა-წმიდას, რომლის წინაშე მე მუხლი მომიხრია...

კლის. და ჩვენ სამს კი-მე—შენს კანონიერ ბეულღეს და შენს შეილებს, მისს სამსხვერპლოზე გვხრაკავ, მისი სახელით გეტანჯავ.

ბუკი. ღმერო, ეს რა აღქაჯი ყოფილა! როგორ უტიფრად იხსენიებს ჩემს გულის ნადებს? მარა... ჰმ! განა ოდესმე მოქცევია ის უკეთესად ჩემს წმიდათა წმიდას, განა ერთხელ გამითელა მე მან ჩემი სათაყვანო იდეალი? (პაუზა) წადი დედაკაცო, წადი! შენ ღირსი არ ხარ აქაურობის, შენ ღირსი არ ხარ ჩემი მეუღლის სახელი ატარო!... (ლოცვით იჩოქებს ხატების წინ).

კლის. გიორგი, ჩვენო ჯალათო! ჩვენს საქმეს ლოცვა ვერ უშველის! ჩვენ გვშია, პური გვინდა. შენი შეილება ეხლა ატირებული გველიან, ლუკმა არა აქვთ... გიორგი! (მიიწვევა) გამიგონე!


ბუკი, დედაკაცო, მე ვლოცულობ შენს თავს ვავედრებ შენს გამჩენს, (ლოცვის გათავების შემდეგ, მტკიცეთ) ადამიანო, გაიგე რომ მე წუთი სოფლა არაფერი არა მაქვს, ყველაფერი დამემსხვრა, დამელუბა, უფსკრულმან შთამინთქო აქაური იდეალი! მიხვდი, გაიგე, რომ წუთისოფლის ღუზა დამეკარგა და ეხლა ჩემი იმედი მხოლოდ ცაა... ცა! ოხ, ნუ მტანჯავ ადამიანო, ნუ მისერავ მოგონებით არსებას! მაკმარე რაც მჭირს! ეს არის ვიპოვე აღშფოთებულმა ნავთ-საყუდარი და ნუ ცდილობ გამძაქვო აქედან, გადამისროლო კვლავ აზვირთებულ ცხოვრების ტალღებში, ნუ!..

კლის. გიორგი, გვშია, გვშია!.. პური გვინდა... პური!..

ბუკი. გშია? ჰმ! განა მეც არ მშიოდა, თუმც ჩემი შიმშილი სულ სხვა გვარი იყო, შენებრ პირადი ეს მალმერთებელისას არ გავდა, მარა მე

ვპოვე საჭმელი, შენც ასე მოიქეცი! ხომ ხედავ მე როგორ ვცხოვრობ, მას შემდეგ, რაც აქაურ ანგარებას გამოვესალმე. ვარ ჩემთვის მშვიდათ, წყნარად შენც ასე მოიქეცე... მაშ შენ ძირითადი განახლება გინდა, ვინემ მაგ აზრებს თავიდან არ მოიშორებ, მაგ თვალთა ხედვის წერტილზე იქნებო, ვერასოდეს მაგ გვარ მსჯელობას თავს ვერ დაახწევ, ქეშმარიტებამდე ვერ მიხვალ! მეც აკი შენებრ მდგომარეობაში ვიყავი ერთ დროს. მაშინ მეც შენებრ ვწვავლობდი. შენებრ ვიყავ ჩაფლული ანგარებაში: ცოლი, შვილი, მტერი, მოყვარე... ყველაზე ფიქრი, ყველაზე ზრუნვა; განა მეც მთელის ჩემის გატაცებით არ ავყევი ხალთობას, რომელიც მდგომარეობის გაუმჯობესებას გვპირდებოდა?, ერთი სიტყვით სააქაოს გასაუმჯობესებლათ გვიწვევდა საბრძოლველად! მეც გამიტაცა ამ მოძღვრებამ, მისთვის ბრძოლა, თავ დადებამ მარა როგორც დავრწმუნდი ფუჭი ყოფილა ყველაფერი, უნიადაგო ოცნება და მეც უარ ვყავი ის... მიხვდი, რომ ცვდებოდი ამაქვეყნიურზე ზრუნვით და კიდევ მივაპყარ თვალი მეუფეს!... ქეშმარიტებას ვეძებდი და კიდევ ვპოვე! თუ ვინმეს ქეშმარიტება სწადია და არა ანგარებაში ტოპინი, მან ჩემს გზას უნდა დაადგეს! რა არის ცოლი, შვილი, საზოგადო სამსახური იმ ადამიანებისათვის, რომელსაც ქეშმარიტება ღვთის ძლიერებაში და განგებაში უბოვია!?

კლის. (მუხლებზე მოეხვევა) გიორგი, შენ მშვენივრად ლაპარაკობს, მშვენივრად! მარა ცხოვრებაში ხომ მაგრე არაა! განა ყველანი ხომ შენებრ ცხოვრებას ვერ შეუდგებიან? განა ხომ ყველა შენსავით არ ფიქრობს? არ ხედავ, აუარებელი ხალხი როგორ ცხოვრობს? ნუ აუ ყველა მათ წაწყმედა მოელისთ, ვერც ერთ მათგანს ქეშმარიტება ვერ უბოვია?! ყველას არა აქვს შენებრი გული... მე ვერ მოვიქცევი შენსავით, მე ასე ცოცხლად ვერ დავიმარხები, ვერ დავისამარებ თავს! მე ადამიანი ვარ, გრძნობა მაქვს, სისხლი მაქვს, ბუნებრივი მოთხოვნილებები მაქვს! მეც მინდა ჩემს ქმარ შეილში წუთი სოფლის ნეტარება ვიგრძნო! რათ მისპობ ამას, რისთვის მაუბედურებ? რისთვის იღვამ ჩემს ცოდვაში ფეხს? თუ ასე დამტანჯავდა, თუ ამ დღეს მიმხადებდი, რათ შემიერთე, რისთვის შემაყვარე თავი? მე შენზე




ამოქლის მზე და მთვარე და შენ კი ასე მექცევი! მე შენგან მოველოდი გაბედნიერებას და შენკი ასე მექცევი! მე მე ვარ, მარა შეიღებს მაინც რას ერჩი, ისინი რათ დატანჯე მაინც? დაფიქრდი გიორგი გაითვალისწინე შენი საქციელი! გაიგე, რომ სამა ადამიანის უბედურების მაზვზი შენა ხარ და რათ აშენებ შენს ბედნიერებას და სულის სიმშვიდეს სხვის უბედურობაზე? მიხედვე შენს ღმერთს, მოშორდი აქაურობას! წამოდი, დაუბრუნდი ისევ ოჯახს ვიცხოვროთ ისევ! დე, შიმშილით მოვკვდე, ოღონდ შენთან კი! შენთან ცხოვრების დროს ჩემთვის სამსალაცნეკტარი ყოფილა და ასე იქნება აწიც... გაიგონე, გიორგი ჩემი მუღარება, მისმინე! მე მუღამ შენი მორჩილი ვიყავი და კიდევ ისე ვიქნები, მუღამ შენს სიამოვნებაზე ვფიქრობდი და მომავალშეც ასე ვიქნები .. ვფიცავ ზევით ცას და ძირს ქვეყანას!..

ბერი. ადამიანო! თუ გრძნობა არ გემორჩილება, ქკუთ მაინც დაუვირდი საქმეს, გაიგე მზეზი, მიხვდი რაშია საქმე! დამიგდე ყური! მე მას აქეთ, რაც კი შეგნებული ცხოვრება ვიწყე, ქეშმარიტების მაძიებელი ვიყავი, მართალია სწავლა არ მქონდა, მარა რა იარაღიც მეპყრა ხელში, იმ იარაღით ვეძებდი ქეშმარიტებას... ჯერ კიდევ ახალ გაზრდას ქვეყანა ვარდის ფრათ მებატებოდა და როდესაც შენი ტრფობის ალი ვიგრძენი, ასე მეგონა ბედნიერების დასაწყისი და დასასრული შენ იყავი, შენდამი ტრფობა—სიყვარული იყო... მარა დავრწმუნდი, რომ ვცებოდი,—ქეშმარიტება და ცხოვრების აზრი ჯერ კიდევ ვერ მეპოვა, ბედნიერება ჯერ კიდევ შორს ყოფილიყო. და კვლავ ვიწყე უაზრო ხეტიალი ცხოვრების მორვეში. ამ დროს განშათავისუფლებელი მოძრაობაც დაიწყო და მეც მთელის ჩემის აზრებით შეუდექი საზოგადოების სამსახურს და ყველაფერი ის, რაც ხელს მიშლიდა ამ გზაზე, თავიდან მოვიშორე... სხვათა შორის შენც, ოჯახობაც, ვინაიდან მრწამსა, რომ იმ კაცს, რომელსაც საზოგადოების სამსახური გადაუწყვეტია, არაფერი კერძო არ უნდა აინტერესებდეს, უნდა ყველაფერი პირადი უარყოს... დიახ! და მეც ასე მოვიქეცი... თუმც აქ კიდევ სხვა მიზეზიც იყო. გადაწყვიტე საზოგადო სამსახურისთვის შემეწირა თავი, რადგან უზენაესი ქეშმარიტება მე ის მეგონა,

ადამიანის დანიშნულებას მე მასში ვხედავდი... ხომ გახსოვს რამდენს ვშრომობდი ქალაქში? ჩემზე თავ ვანწირული მებრძოლი მეორე არ ყოფილა! მარა ბოროტმა ძალამ ერთის დაკვრით დაამსხრია ჩემი სამსხვერპლე, დამიქვესკენლა იდეალი და ნათლად დამანახვა, რომ მე ვცდებოდი, თავს ვიტყუებდი. ჩემი იდეალი თურმე აუსრულებელი ყოფილიყო... ერთის სიტყვით ცხოვრების მიზანი კლავ დავკარგე, კვლავ უაზროთ დავრჩი, ქეშმარიტება ვერ მეპოვა... და ყველსფერი ამის შემდეგ ვისთვის უნდა მიმემართა, თუ არა, ყოვლის შემძლებელის მეუფისთვის მან ერთის სიტყვით გააჩინა ქვეყანა და ერთის სიტყვითვე თუ მოიწადინა, სამოთხეთ აქცევს... ჩვენ კი, ადამიანებმა ამდენი სისხლი დავაქციეთ, ამდენი მსხვერპლი გავიღეთ და რა გამოვიდა? არაფერი, კვლავ ბოროტება მეფობს ქვეყანაზე, კვლავ ბორკილები რაჩხუნობენ, სარჩობელები ამართულია, თოფ-ზარბაზნები ზუზუნობენ, ბნელი საკანი ისევ აქაა!... ჩვენ ვერც ერთი ამათგანი ვერ მოვსპვთ, ვერ დავამყარეთ სიყვარული, სათნობა; უძლურნი ვყოფილვართ, არაფერი შეგძლებია... დიახ!.. და ნუ თუ ამას შემდეგ ყოვლის შემძლებელისთვის არ უნდა მიმემართა? ვინ, ვინ გამიმტყუნებს, ამას, გარდა გზა დაბნეულისა?

ქლას. იქნება ეხლაც ცდები?
 ბერი. არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლა არ ვცდები... და თუ კიდევ ვცდები—ამას მომავალი მაჩვენებს, ამაში კიდევ მომავალი დამარწმუნებს... ახლა კი წადი, მომშორდი! მაკმარე ის, რაც ცოდვები შენთან ჩამიდენია, მაკმარე!..
 ქლას. გიორგი რას ამბობ, რა ცოდვები ჩაგიდენია შენ ჩემთან? რა ცოდვა ჩაგადენიე მე? უსინდისოვ! განა უპატიოსნო ვიყავი, გარყვნილი ვიყავი? შენს გამო სამი ადამიანი იტანჯება! იცი? მე არ მწამს შენი აზრები, შენი ნალაპარაკები! როგორ, განა ქეშმარიტება ადამიანის მსხვერპლს და თვითსიცოცხლეს ითხოვს?! დიახ!..
 ბერი. (გაბრაზებული) საზიზღარო! მე არ მიკვირს შენგან ასეთი აზრები, არა! ამ წამამდის ვერ მეთქვა და ახლა კი უნდა გითხრა ყველაფერი! შენ არასოდეს არ ყოფილხარ ჩემი ამხანაგი, ქეშმარიტი მეუღლე არასო-



დეს! შენ არ შეგეძლო ჩემს გვედით ბრძოლა, შენ არ შეგეძლო ჩემსავით ბოროტებისთვის გული მიგეშვირა! შენ იყავი და ახლაც ხარ პატარა ადამიანი, დიახ, პატარა! თავის ნაქუქში ჩაფლული, გარდა პირადი მისი არაფერი გწამება! ჩემთან ერთად არ შეგეძლო კეთილშობილურ აზრებით აღდგინება, აღფერთოვანება. სიმართლისთვის თავ დადება, სიკვდილი! მე კი მწადდა შენ ჩემი მარჯვენა ხელი ყოფილიყავ, ჩემის აზრებით გეცხოვრა, გესულდგმულნა, ჩემთან ერთად განგეცადა ტანჯვა, წამება, სიხარული! ჩემთან ერთად მდგარიყავ ბრძოლის ველზე! დიახ, მე ამას მოვითხოვდი შენგან, როგორც ჩემის მეუღლისაგან შენ კი მომატყუილე, იმედები გამიძრუე, ვერ გამიწიე ღირსეული ამხანაგობა! არ იყავ და არ ხარ ჩემი თანამოაზრე, პირ. იქით ხელსაც მიშლიდი.., და აი სწორეთ ეს არის უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც მე დაგშორდი და თავი დაგანებე... დიახ, ამისათვის! მე არ შემოდლია შენთან ცხოვრება, ჩემი თანამოაზრე რომ იყო, შენ აქ იქნებოდი ეხლა... დიახ!. არ შემოდლია! დღეს გადაჭრით გეუბნები მე შენ ამას, დღემდის კი ვერ მეთქვა, არ ვიცი კი რათ... მაშ ასე! წადი იცხოვრე შენთვის, როგორც ვინდა შეილებს მოუარე იყავი მათთან ერთად არ დაშორდე, უპატრონე! მე კი თქვენი არ ვარ!...

ქალის. გიორგი! ნუ თუ მე შენთან ერთად არ გადამიტანია სიმშვილი, სიღარიბე, ბედის კრულვა და სიხარული?..

ბერი. და მეტი არაფერი... შენ მიზანს ვერ შორდებოდი ანგარებით გატაცებული! მე კი აღმაფრენა მინდოდა, მეუღლესთან ერთად საკაცობრიო მიზანის ქეშმარიტებისთვის ბრძოლა, მარა მოვტყუვდი შენში... დიახ! ეხლა წადი!..

ქალის. (კივის) უიმე დედა! რა მესმა ეს? პირველი გაგონებაა!.. (ელისაბედი ბერს მიუარდება, ის ხელს კრავს და წააქცევს კივის)

გამოსვლა მთავრად.

(ივინივე, მონაზონი და დიაკონი. შემდეგ გიორგის ქალ-ვაჟი.. აგრეთვე სალოცათ მოსული რამოდენიმე ქალი)

მან. (მორბის) რა იყო, რა ამბავია, რა დაგემართათ?

ქალის. (გაწეწილი ღგება) გაიგეთ ღიღო და პატარაო! ცა და დედამიწავ რომ ეს ადამიანი სამს გვიმწარებს სიციცხლეს, შიმშილი გვბოცავს... ამან მოწამლა ჩვენი არსებობა...

დიკ. რა გაკივლებს დედაკაცო, რა იყო?

ქალის. შენ რა გედარდება, რა გენაღვლეება? (კივის. ქალები ანუგეშებენ ელისაბედს. ამ დროს. ბერის ქალ-ვაჟიც გამოჩნდებიან და მტირალ დედას უახლოვდებიან) აი შეხედეთ! შიმშველ-ტიტველი დადიან, ლუკმა პური არა აქვთ... და ამათი მამა კი რალაც ქეშმარიტებაზე და სიმართლეზე ბოდავს!.. ღმერთო! (კივის).

ვაჟი! რა იყო დედა, რა ამბავია? (ქალი მამისკენ აპირებს მიწევას, მარა ეშინია)

ბერა. (წყნარათ) დარეკის დროა, დარეკის დრო! (ადის სამრეკლოზე).

ქალის. შეილებო! (ეხვევა).

ბერა. (შემოკრავს ზარს) დედაკაცო, გესმის, მე ვრეკავ, სალოცათ ვიწვევ მორწმუნეთ. (შემოკრავს მეორეთ) გესმის? თუ შენ ნამდვილი ადამიანი ხარ, მიაფურთხე აქაურობას და შემოდი ეკლესიაში სალოცად! ქეშმარიტება აქ არის, ცხოვრების მარჯანი ესა! (შემოკრავს მესამეთ) ის ბავშვებიც თან შეიყვანე, მათაც შეაყვარე ღმერთი, ხატი, შეაძულე სააქაო, შეაყვარე სიიქაო! (შემოკრავს მეოთხეთ) გესმის დედაკაცო, მოიქეც აგრე... თუ არა და წადი, ილოღე ისევ მიწაზე, არ აიღო თავი მაღლა. შენებურათ, პირუტყვის ეგვანე, მე კი ნუ რიშლი აქ ღვთის სამსახურს, მეუფის ვედრებას! წადი დაიკარგე!.. (დაუჩქარებს რეკას. ელისაბედი ქვითინით ეხვევა შეილებს).

ზარდა.

(შემდგვი იქნება).

კ. მალაქიაშვილი.

მოძმის საფლაუი.

(დიმიტრი ქ—ძის სსოფხსს)

ცელქო ნიავო, კეკლუცო სიო, ფრთებ მომართული დაქრი ზთა-ველათ. აქ ვარდს ჩაურბენ, ჩაკოცნი უკებენ და იქ იასა შეარხვე ნელათ



გემუდარები: ყური ათხოვე
 მხოლოდ ერთად ერთ მტანჯავ საკითხავს
 არ შეხვედრიხარ საყვარელ მოძმის
 კაეშნიანსა ობოლსა საფლავს?

ვით ვარდის ბუჩქნარს იმის სამარეს
 ხომ მოხვეწიხარ ალერსით თრთოლით,
 დადუმებულთა მისთა ბაგეთა
 ხომ დაჰკდომიხარ ციურ ამბორით?
 — უარსა ამბობს სიო მთა-გორის
 არ მნახავია მეგობრის სწორის
 ყვაილებსკენ მიგრჩარება
 მათთან ალერსი მოენატრება.

კამკაშა მთვარევე, მარად მცინარევე
 ყველას დასცქერი, ყველას ნახულობ,
 ვერცხლის ფერ სხივით უხვათ ანათებ
 და შარავანდით აბრწყინებ—ამკობ

უღროთ დაკარგულ მეგობრის საფლავს
 შენ უსათუოთ ინახულებდი
 და მიპასუხებ მკრთალათ მბზინავსა
 ხომ ჰყენდი სხივებს, ხომ აშუქებდი.

ლაელვარდ ცის ზღვაში ქათქათით ღელვით
 მთვარე ამაყათ მიმოსრიალებს
 და იღუმალის თვისის ღუმილით
 ცრემლებით მივსებს ნაღვლიან თვალებს.

მაისის ვარდო, ტურფავ პირ ნაზო,
 სჩანს ძმის საფლავზე დილით იშლები
 შენ გაგანდობდა თვის აღსარებას
 მომიყუევ წმინდათ შენ გენაცვლები.
 ის ხომ მარადის იყო ტანჯული
 სატრფოს სანაცვლოთ ხედებოდა გველსა
 და აქ ხომ მაინც უაღერსებდი
 უხვად აკმევედი ტკბილ საკმეველსა.

ბუნების წიაღს გრძნობით ჩაკრული
 ამაყათ შლილი ტურფათ ნაქარგი
 არ მისმენს არც ის... რაში ეკითხვის
 ჩემი წუხილი და დანაკარგი.

ჩანგ მომართულო, ფრთოვანთ მგოსანო,
 ხან მომღერალო, ხან კი მკენესარე
 შენ მაინც მომე პასუხი ბედკრულს
 და ესოდენი ტანჯვა პაკმარე.

არ შეხვედრიხარ საფლავს მოძმისას
 უტოლ-მეგობროს მქრალ მნათობ მზისას,

ხომ ვითარც სატრფოს გარს ევლებოდი
 და ძილის პირულს წყნარათ ეტყოდი

მაგრამ ვაგლახათ, თვით ბულბულიც კი
 ყურს არ მათხოვებს ცათ მომფრინავე,
 ციური ხმებით აუღერებს ჩანგსა
 და შესტრფის არეს ტკბილ მომლხინავე.

ჩუ, ხის ტოტების მოშესმა რხევა
 სევდის მომფენი, კაეშნიანი
 და განუსაზღვრელ ღრმა მწუხარებით
 მისკენ წაველი თვალ ცრემლიანი.

მწირ—უდაბნოს და პარტახსა ადგილს
 ტოტებ დახრილი ტირიფი ხარობს
 და გულის მომკვლელ ძმისა ამბავსა
 იღუმალისა ჩურჩულით მანდობს.

„ვისაც დაეძებ აქ განისვენებს
 სხვა საფლავთაგან განმორებული
 არვინ უმღერის ნანინას ტკბილსა
 ყველასგან არის დავიწყებული.“

• ერთხელ კიდევაც ცივ სამარიდგან
 იწოდებს სატრფოს, გულის მეგობარს,
 რომ ღუშმნის ისრით გულ გათანგული
 ეღირსოს ფრქვეულ წმინდა ცრემლთა ცვარს

მაგრამ ამაოთ... არსითგან მოსჩანს
 გამქარვებელი სევდების კირის
 არსით სჩანს სატრფო უმწიკვლ-უებრო.
 და მწარეთ მოსთქვამს, ქვითინებს სტირის.

დ. თურდოსპირელი.

ს ა ბ რ ა ლ ო ქ ა ლ ი .

ქ ს კ ი ზ ი .

...ის მიღის... არავის ყურადღებას არ აქცევს...
 მის ლამაზ სახეს, შავსა და მომსხო თვალებს
 მწუხარების დალი ამჩნევია...

ჯერ მზეს ვერ მოუსწვრია დედამიწის სავსებით
 განათება!.. ის კი ამ დილა აღრიან მიიჩქარის იქით-
 კენ, სადაც ეგულება ერთად ერთი ნუგეში, ერთად
 ერთი სასოება და სიყვარული.. ჩქარის ნაბიჯით,
 გულის ფანცქალით და მწუხარებით მიიჩქარის ვა-
 ნოს სანახავათ, რომელიც დიდი ხანია მოსწყვიტეს
 მის გულს და ჩასვეს ბნელ ციხეში. სიხარულით
 ელოდება ვანოს ნახვას და თან სწუხს...
 მწარეთ სწუხს, რომ ვანო მასთან არ არის, რომ
 ისინი გათიშეს, რომ ერთის ბინა ცივი, ვიწრო და



ნესტიანი საკანი შეიქნა, ხოლო მეორე უპატრონოთ დარჩა ამ უგულო ქვეყანაში... უხარის ნახვა და თან სწუხს, სწუხს და უხარის!.. ოხ რა ძნელია, როცა სიხარული და ტანჯვა ერთმანეთს ენაოჭება!.. რა ძნელი და აუტანელია, როცა წუთიერი სიხარული ისევ უნდა დაფაროს ხანგრძლივმა მწუხარებაში!

ის მიდის, მიიჩქარის და მის გულიდან ხშირათ გაისმის მწარე აღმოკვენსა....

ის არავის ყურადღებას არ აქცევს, რადგან შებეზრდა ეს უგულო ხალხი, რომლის უმრავლესობა სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერებას აშენებს... ის დღეს უბედურია, უპატრონოა, ლუკმა პური ენატრება, წვითა და დაგვით ატარებს ცისმარე დღეს..

სხვები კი სარგებლობენ მისი უმწეო მდგომარეობით და ვაჭრული თვალით უცქერიან მის მოყვანილ და კოხტა ტანს, მეცადინეობენ გზა დაუბნიონ, დააყენონ მოლიპულ გზაზე და დააკარგვიონ ზნეობა....

ამ დროს ეს უგულო ხალხი გამარჯვების გვირგვინს დაიდგამს თავზე და ზეიმით გადაიხდის დღესასწაულს,

„უპატიოსნონო!“ ფიქრობს მანდილოსანი; ..რატომ არ შეგრცხვებათ, როცა მეცადინეობთ, რომ შემაცდინოთ სუსტი არსება?... ნუ თუ ვინმეს ამის საბუთი მოგეცით?... არა, არა, მაგრამ... ოჰ! ბიწით სავსე კაცობრიობავ! შენ ყოველთვის სუსტი უნდა გადათელო; იქ უნდა ააგო ბედნიერების სასახლე სადაც უბედურება დატრიალდება... ოოჰ! წყვეულო ხალხო!..“ დიახ, მის გულში წყვეა-კრულვა ტრიალებდა; მას სძაგდა, ის ხალხი, რომელიც ბოროტათ ხმარობდა მის უპატრონო მდგომარეობას და ეძებდა შემთხვევას, რომ შეურაცხყო მანდილოსანი, რომლის გულშიც ღრმათ იყო ვანოს სიყვარული, რის ამოსაგლეჯათ ყოველგვარი ძალა უნაყოფო გამოდგებოდა.

მზეს თავის სხივები უხვათ მოეფინა, მარა მას ვერ ახარებდენ მომზიბელელი სხივები... სიტკბოებით სავსე ბუნება მისთვის ნალველზე უმწარესი იყო, რადგან მის გვერდით ვერ ხედავდა მას, ვინც მისთვის მზეზე უკეთესიც იყო და ბუნებასაც სკარბობდა სიტკბოებით...

მზე ქვეყანას ანათებდა; მის გულს კი წყვილიდის ზეწარი გადაფარვოდა...

აჰა!—მიუახლოვდა მაღალ ციხეს, რომლის კბილებიანი კედლების ერთი შეხედვით შიშის ხარს

მოგვრის ყველას და პატიმართაღმი სიბრალოულს აღუძრავს გულში მას, ვისაც გულის აღავს ქვა არ უძევს... მიუახლოვდა იმ საწინელ სახლს, რომელსაც ათასობით ხიშტიანი დარაჯები ყარაულობენ და რომლის კედლებ შორის მუდმივი ოხერა-კენესა გაისმის...

მიუახლოვდა იმ სახლს, სადაც გვემულ-ტანჯულთა შორის მისი სიცოცხლეც, მისი ვანოც იმყოფება.

გულმა ცახცახი დაუწყო თვალებიდან ორი ობოლი ცრემლი მოწყდა ნაბიჯს მოუშატა...

—ვენერა!.. მშვენიერების ღმერთო!.. მშვენიერო მესსალინა! მოიხედე... მოესმა ჟღერობის ხმა.. მოიხედა მას ორი ცბიერი თვალი ჩაბერიებით უშხერდა.—უპატიოსნო!.. უნამუსო და გარყვნილო არსებავ!.. შორს ჩემგან!.. ბრაზიანათ წამოიძახა მან და თვალები ციხეს მიაშტერა.

ციხის პატარა ფანჯრებში ტუსაღების თავები ჩანდა.

ტუსაღები მომსვლელებს ათვალიერებდენ.

ვანოსაც ყოველთვის ხედავდა აი, იმ ფანჯრიდან; მათი თვალები ერთმანეთს ვალერსებოდენ, მარა დღეს ის არ ჩანდა...

მანდილოსანმა დიდხანს უცქირა ფანჯრებს, მარა ტყუილად.. ვანო აღარ სჩანს, უცნობი კი შორი-ახლო სდგას, გაბოროტებით შესცქერის ქალის მწუხარე სახეს და ფიქრობს, რა ბედნიერ წიშებს გაატარებს, რომ ეს ქალი ხელში იგდოს.

მიზნის ასრულება არ ეძნელება...

ულვაშებს იგრეხავს მოუსვენრობა ეტყობა.

„უთუოდ აქ სატრფო ყავს“ ფიქრობს ის და უნდა დაეპატრონოს მას... უნდა დასძლიოს თავს, მივიდეს, გაეცნას და ბოლოს სისრულეში მოიყვანოს ბიწიერი განზრახვა, მარა ჯერ ვერ ბედავს... ბოლოს დასძლიეს „სიმხდალეს“ თამამათ წარუდგება წინ და ხელს გაუწვდის:

—ნება მიბოძეთ.....

სიტყვების გათავება ვერ მოასწრო, რომ საბრალო ქალმა სასოწარკვეთილი ხმით შეღრილა—

—შორს ჩემგან, საზიზღარო!

შერცხვენილი უკან გაბრუნდა...

„ნუ თუ ვანო სხვა ციხეში გადოყვანეს?!“ ფიქრობს მანდილოსანი და მიდის მეკარესკენ...

—ჩამწერეთ ივანე ობლიძის სანახავათ,—ეუბნება მეკარეს.

—თქვენ ვინა ბრძანდებით?.. ნებართვა გვიბოძეთ...

—მე მისი მეუღლე გახლავართ.. აი ნებართვაც...

მეკარგმ გამოართო ნებართვა და დაუწყო რალაც წიგნაკს თვალიერება..

—თქვენ ივანე ობლიძის სანახავათ ხართ?..

ის გუშინ გადაიკვალა,—მოკლეთ უბასუხა მეკარგმ.

მანდილოსანი შეერთა, სახე გაუფითრდა და დაემანქა...

ერთი ცოვი ხმით შევიკლა და უგრძნოთ დაეცა მიწაზე...

დედამიწაზე უგრძნობლათ გაშხლართული მანდილოსანი, რომელიც ვანოსთან ერთათ კარგავდა თავის ბედნიერებას, ტკბილ წამებს და ყოველ გვარ სიამოვნებას, რომლის სიცოცხლე აწი... აპირიდან აუტანელი ტანჯვის და ვაების გაგრძელება იქნებოდა ამ ბოროტებით საესე ქვეყანაში, ყველას სიბრალოლს ჰგვრიდა.

მოხვეოდენ, აბრუნებდენ და თანაც ყველას სახეზე მწუხარება გამოიხატებოდა...

—საბრალო ქალი! მწუხარებით წარმოსთქვა თვით მეკარგმაც...

არჩ. რუხაძე.


ჰენრიხ იბსენი.

III.

როგორც წინა წერილიდან დაინახეთ, ჰენრიხ იბსენის წვრილი ბურჟუაზიული მორალური შეხედულება, რომელსაც იგი თავის ნაწერებში გვიხატავს, კაპიტალისტურ საზოგადოების უკუღმართ პირობების პირ-და-პირი შედეგია. საშინელმა გაუმადლობამ და ფულების შეძენის სურვილმა მთლათ შეიპყრო ადამიანის მისწრაფება. მცირე შეძლება, ნივთიერი ვაჭივრება და მამა-პაპური სადა ცხოვრება თავისი მარტივ მოთხოვნილებებით ვეღარ აკმაყოფილებდა. ყველა სიმდიდრის მოხვეჭას ცდილობს და მას უაღერსებენ. ეს დროა წარმოების და ვაჭრობა აღებ-მიცემობის, პირუთვნელობა და პირ-და-პირობა აღარ არსებობს; ვინც მეტს გაიძვერობს, მეტათ ატყუილებს თავის მოძმებს, მას გააქვს ბურთი ლელოს, ის ექცევა ცხოვრებას სათავეში. ასეთ დაშლის პირობებში იბადება ახალი საზოგადოებრივი ტიპები: შვეკულანტი, ორატორი, მცბიერი დემაგოგი, რომელ წვრილ ბურჟუაზიას პოლიტიკურ განუვითარებლობით და შეუფერებლობით ისევე ვაჭრობს აღებ-მიცემობის, როგორც ეკონომიურ ნივთებით; სწორეთ ასეთი ტიპები სოციალურ ტიპებათ გადაიქცნენ.

ახალი ბურჟუაზიული კლასები, რომლებიც სათავეში მოექცნენ, მასის, თავის მოძმების-ბატონ-პატრონები შეიქმნენ, ძლევა-მოსილ ძალათ გადაიქცნენ. პატრიარხალური—არისტოკრატიული მიწათმფლობელნი ვერ ხედებიან ახლად მოვლინებული კლასის ძალას, მათ უპირატესობას; იმათთვის გაუგებარი დარჩა, თუ როგორ იქნა, რომ ახლად გაბატონებულმა კლასმა მათ თანასწორი სოციალური მდგომარეობა დაიკავა და ძველი მამა-პაპური ურთიერთობა მიანგრ-მოანგრია. ასე იშლება გადმოცემული შეხედულება—შემეცნებები. ძველ შეხედულებას და ძველ აზროვნებას მხოლოდ განსაზღვრულ, ვიწრო წრეშილა ქონდა გასავალი, ხალხის დიდი ნაწილი კი წინააღმდეგი იყო მისი, უარყოფით ექცეოდა ყველა მოძველებულ-მობერებულს. ამ დროს, რასაკვირველია, იღვიძებს დედაკაცის ინდივიდუალიტეტი, იფურჩქნება და იშლება ადამიანის შემეცნების ყოველი მხარეები, ვითარდება თანამედროვე პიროვნების მრავალ მხროვანი ძალები. მისთვის ახლა ძველი წვრილმანობა, ძველი შეზღუდვა—შევიწროვება, აქნობამდის არსებული საზოგადოებრივი ნორმები ადამიანებისთვის ვიწრო და შეუფერებელი ხდება. ახალი ურთიერთობა პირდაპირ ომს უტყაბდება ძველ ზნე-შეხედულებას, იგი დიდ ხანს ვეღარ თავდება მასთან, ადამიანები ვეღარ იტანს მას და იძულებულნი არიან ზედმეტათ ჩასთვალონ იგი. ძველი მორალური უშინაარსო, უსაფუძვლოა. ვინც მას ებლაუტება იგი თავის და უნებურათ წინააღმდეგია ახლისა: ის ჩვეულებრივ სიყალბეშია, შეცდომაშია. სადაც იგი წინათ სიამოვნებით ემსახურებოდა, სასარგებლოთ მიიჩნდა, ხელს უწყობდა და ანვითარებდა მის სულიერ ზრდა-წარმატებას, ახლა ყველა ეს შემზღუდველია მისთვის, აქ ვეღარ გრძნობს იგი ძველებურათ თავისუფლათ.

თანამედროვე ადამიანს ახლა წინ ან ჰო, ან არას საკითხი დაუდგა. ის ან სიყალბის და არა თავისუფლების მორევეში ჩაძირულიყო თავისუფლება და ჰეშმარიტება მოხვეჭა: ეს არის ის ალტერნატივი, რომლის შუაც გვიყენებდა იბსენი ადამიანს ვინც უკანასკნელს, ე. ი. თავისუფლებას და ჰეშმარიტებას—მოიხვეჭდა, იგი აუცილებლათ მაგარი იქნებოდა, კეთილ შობილ ადამიანის სახელს დაიშხაურებდა. მხოლოდ ვინც დასახელებულ თავისუფლება—ჰეშმარიტებას მარტო ელტოდა და ვერც კი იძენდა მას, იგი სიყალბეში ვარდებოდა და მწარე სინამდვილეს განიცდიდა. მაგრამ, როგორ და რა საშვალებით თავს ახწევს ადამიანი არა თავისუფლების და არა ჰეშმარიტების შებოჰვილობას? ამაზე ჰენრიხ იბსენი მოკლეთ გვიბასუხებს: ადამიან-



ნის პიროვნული ენერგია, ძალა და გამჭრიახობა, მისი შეგნება და შემეცნების გაფართოვება, ხსნა და გამოსვლა მთელ ამ დაბრკოლებიდან, იმავე იბსენის აზრით ინდივიდუალიზმის განვითარებაში მდგომარეობს, თავის საკუთარ პიროვნების საზოგადოებაზე მაღლა დაყენებაზე, ინდივიდუალიზმის მიზნათ დასახვაში.

თითველ პიროვნების დაწინაურება, მასის წაცდენა, მთავარი მოვლენაა, რომელიც ანსხვავებს წვრილ ბურჟუაზიულ საზოგადოებას მსხვილ კაპიტალისტურიდან. ასე რო, რასაც ჰენრიხ იბსენი აღმერთებს და ცამდის აყავს ეს მხოლოდ წრილ ბურჟუაზიული კლასის იდეალთა, მისწრაფებაა, რომელიც წარმოშობა ეკონომიურ განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალისტურ წარმოების სინამდვილემ. წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მწარმოებელი, რომლებიც მსხვილ-ბურჟუაზიულ პირობებში ცხოვრობენ, ელტვიან ქეშმარიტებას, თავისუფლებას, დამოუკიდებელ ცხოვრებას, და სწორეთ ასეთი მიზანი აქეთ დასახული იბსენის გმირებს, მაშასადამე იგი პოეტი იდეოლოგია წვრილ ბურჟუაზიულ კლასებისა, გამომხატველია მათ მისწრაფებისა.

(შემდეგი იქნება)

შვარცი.

რუსულ ახალ მწერლობის ისტორია.

(გაგრძელება იხ. „სხივი“ № 9)

შემეცნების მეორე საფეხურია—გონების მოქმედება. კანტი აქაც არჩევს აპრიორულ და ემპირიულ ელემენტებს. გონების მოქმედება უპირველეს ყოვლისა გამოიხატება შეგნების შექმნაში. ჩვენ ვხედავთ მთელ რიგს მაგიდებისას, ჩვენ განყენებით წარმოვიდგენთ მათ არსებით ნიშნებს და ამ გვარათ ვადგენთ წარმოდგენას მაგიდაზე საზოგადოთ, წარმოდგენას ისეთ მაგიდაზე, რომელიც არ არსებობს, როგორც კონკრეტული საგანი, მაგრამ რომელშიაც შედიან ყველა დანარჩენი მაგიდები. ჩვენ რამდენჯერმე დავინახეთ ელვა, აქედან ჩვენ ვგებულობთ რა არის ელვა, როგორ ხდება ის. ჩვენ რამდენჯერმე გამოვცადეთ ჰაერის მოძრაობა, აქედან ჩვენ ვადგენთ შეხედულობას საზოგადოთ ჰაერის

მოძრაობაზე. მაგრამ საიდან ვიცით ჩვენ რომ პირველი (ელვა) მეორეს (ჰაერის შერყევა) მიზეზია, საიდან ვიცით, რომ ორივე ეს მოვლენა ერთი მეორეზე დამოკიდებულია? მართალია ჩვენ დავინახეთ, რომ მეორე მუდამ პირველს მისდევს, მაგრამ საიდან ვიცით, რომ ეს სულ ასე იქნება—ცხადლა, რომ ეს, ამ ორ მოვლენათა შორის არსებული კავშირის არსებობა ჩვენ ცდით არ აღმოგვიჩინია. ეს უნდა ვეძებოთ შემეცნების ნიჭში. ამ შემეწრთებელ შეგნებას კანტი კატეგორიებს ეძახის. კატეგორიები შემეცნების ისეთივე წმანდა ფორმებია, როგორც სივრცე და დრო—გრძნობის ფორმები. კანტის სიტყვით სულ თორმეტი კატეგორია არის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ოთხი, რომელთაგან თვითოეული სამ მეორე მრიცხოვან კატეგორიებათ იყოფა. გონებას აქვს აზროვნობის თორმეტი პრინციპი, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობთ, რომ ცდის შემდეგ მიღებულ შეხედულობებს კავშირი მოვუძებნოთ. ეს კატეგორიებია; რიცხვი (ერთეული, მრავალი, ყველაფერი) ღირსება (დადებითი, ვარყოფითი, განსაზღვრითი) დამოკიდებულება (სუბსტანცია, მიზეზი, ურთიერთ მოვლენა, (შესაძლებლობა და შეუძლებლობა, არსებობა და არ არსებობა, საჭიროება და შემთხვევა) გონებას არ შეუძლია შეაერთოს შეხედულობები ერთ ერთ ამ ფორმულების გარეშე, მაგრამ მეორე მხრით ეს ფორმები არ არიან ცდის გარეშე იდეები, ისინი მხოლოდ გონების ნიჭს შეადგენენ და რომ საცდელი მასალა არ ყოფილიყო, ეს ნიჭიც უსარგებლო იქნებოდა და არც გამოჩნდებოდა. თუმცა კანტი დოგმატიურ ფიზიკის მტერი იყო, მაგრამ აქ ნათლათ სჩანს მისი გავლენა.

ამ გვარათ, გრძნობითი განსჯერეტა, რომელიც ჩვენ გვაქვს დროს და სივრცის ვაგების წყალობით, შეადგენს შეგნების პირველ საფეხურს, რაც ჩვენ შეძლებას გვაძლევს მივიღოთ გრძნობითი წარმოდგენა. გონების მოქმედება, რაც შეძლებას აძლევს მას შეადგინოს შეხედულობა, შემეცნების მეორე საფეხურია. ბოლოს მეორე საფეხურს შეადგენს იდეები და გონება. ადამიანის გონება არ კმაყოფილდება მარტო მსჯელობით. მაგალითად შეაერთა რა მან ორი შეხედულობა მიზეზობრივი კატეგორიით, ის აგრძელებს თავის მუშაობას. გამოყავს რა დასკვნა, რომ ელვა ჰაერის შერყევის მიზეზია, ის ეძებს თვით ელვის მიზეზს, შემდეგ ამ მიზეზის მიზეზს, და სხვა, სანამ იქნამდე არ მივა, რომ მიზეზი აღარ არის. ამ გვარათ ჩვენ ვქმნით პირველ მიზეზის

იდეის. ამ ზეგარათ ვლებულობთ სხვა დანარჩენ იდეებსაც სულზე, ქვეყნიერობაზე და სხვა. ეს იდეები განსხვავდებიან, წარმოდგენისა, შეგნების და მსჯელობისაგან. ისინი მოკლებულნი არიან სიმართლეს და ნათელ გამოხატვას, როგორც აქვს ჩვენ წარმოდგენების გრძნობითი საგნებზე. წარმოდგენა და შეგნება შეესაბამება განსაზღვრულ რეალურ საგნებს, იდეები არავითარ რეალურ საგნებს არ შეესაბამება.

კანტის დიდებული დეაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან დაამტკიცა ადამიანის მისწრაფების უწყალობა, გაიგო აბსოლიუტი! გაიგოს იდეები. „დეები უნდა განვიხილოთ, როგორც მიზანი, რომლისაკენაც უნდა მოვისწრაფიდეთ მაგალითად ქვეყანაზე არ არის ზნეობრივი სისრულე — ის მხოლოდ ჩვენი გონების იდეა არის და არა რომელიმე რეალური საგანი, მიუხედავად ამისა ჩვენ მისკენ უნდა მოვისწრაფოდეთ. კანტმა საზღვარი დაუდო ჩვენ შემეცნებას, მან აღნიშნა, რომ შემეცნებას არ შეუძლია ცდის საზღვრებს გადასცდეს და თვით შექმნას რამე.

(შემდეგი იქნება)

— ი.

რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.



განცხადებანი

ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურა-ტურა ზაზეთი

„**პონი**“

გამოდის იმავე პროგრამით, როგორც 1909 წელს გამოდიოდა.

ზაზეთის ფასი: **წლიურათ**

ქალაქში დატარებით 3 მ.—; ვინც რედაქციაში მოიკითხავს გაზ. დაეთმობა 2 მ. 50 კ.
 ქალაქ გარეთ 3 მ. — კ.
ნახევარი წლით, 2 მ. — კ.
 სამი თვით. 1 მ. — კ.

რედაქციის ადრესი: **Кутансь, Балахванская ул. домъ. № 37- Редакция „Пони“.**

ყოველ კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურა-ქართული ზაზეთი

მარცვალი

ზაზეთის ფასი:

ერთი წლით 3 მან.—20 კაპ.
 ნახევარი წლით 1 მან.—70 კაპ.
 სამი თვით „ „ —90 კაპ.
 ცალკე ნომერი ყველგან „ „ — 5 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ბაქაში ჯაყელის კანტორაში ლ. ანობაძესთან, ბაქახანაში ბ. კანდელაკთან (სადგურის უფროსის თანაშემწესთან), ნავთის-მწარმოებელთა ბაღახანის საავთმეოფოში ბ. აღლაძესთან, ჯაყელის და ამხანაგობის პრომისლაზე დ. შევლიძესთან, ბაილონში ბ. კოჩინევიანთან, ქართულ სკოლაში მასწავლებელ რამიშვილთან, რედაქციის კანტორაში; ბაქოს სადგურზე ვ. გაბუნიასთან, სადგურადჯიკაბულში ალ. ვაჩნაძესთან, ქუთაისში ისიდორე კვიციანიძესთან, ოზურგეთში კოლია შვარცნაძესთან, თბილისში „სორაპ-ნი“ მიხაგა, ჩეჩილაძესთან, სოხუმში რაქედენ შენგელაიასთან.

რედაქციის ადრესი: კოლიუბაიკინის ქუჩა. ერივანცოვის სტამბა. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება 1—2 საათამდე.

რედაქტორი ალ. ნადირაძე.
 გამომცემელი პლ. გელოვანი.

ს ს ი ვ ი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფ რ მ ე ბ ა

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები, ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ:

ნ. ახანია, ახასიანიძე, ბ. გელა, კ. გოგლაძე, ივ. გამრთელი, ნ. ზამქოელი, მ. იასაძანი, ზ. არეთელი, ა. ლადიანი, ლეო, რ. დეჩხუძე, ვ. შალქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაფაელიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაველი, ვ. ტუქსიშვილი შვარცა და სხვანი.

ჟურნალი ღირს:

ერთი წლით —	— 5 მან.
ნახევარი წლით —	— 2 მ. 50 კ.
ერთი თვით —	— 50 კან.
თითო ნომერი —	— 10 კან.

წლიურ ხელის მომწერთ

პირველ კრამიათ მიეცემათ სტამბიანის მოთხრობა „სახლი ვოლგის ნაპირზე“.

მეორე კრამიათ—ირანთაის ოთხ-მოქმედებიანი ახალი პიესა „სიცილი“.

პირველი წიგნი დაურბდებათ თებერვლის დამლევს. მეორე აგვისტოს პირველ რიცხვებში. აგრეთვე დეკემბრის ნომერები უფასოთ გაეზავნება. ვინც თებერვლის დამლევამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს ორივე წიგნს მიიღებს.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება თფილისში: გაზ. „ახალი სხივი“-ს რედაქციაში: პ. კალანდაძესთან წიგნის მალაზია „ალიონში“ ვ. გადილიასთან, კოროჩნი ქუჩა № 9; „პეტროვ დელო“-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 ბ. კილაძესთან.

მ ა ლ ა მ ბ ა რ ე თ

ქუთაისში: წიგნის მალ. „იმერეთში“; სამტრედიისში გრ. ურუშაძესთან ბათუმში—რკ. გზის შკაფში გ. მახარაძესთან; ქიათურაში—მასწ. ვ. ხურაძესთან; ჩოხატაურში—წიგ. მალ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში—წიგ. მალ. მ. თალაკვაძესთან: ს. აჯიკაბულში—ვ. ყიფიანთან. და რკინის გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული ღრობებით ამ აღრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Типографія „Печатное дѣло“ Вельяминовская ул. № 6. Полиевкту. Антоновичу Каландадзе.

გამოდის ყოველ დღე, — კვირაობით სურათებიანი დამატებით. გაზეთის ფასი დამატებიანი: წლით 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით და 50 კ. ფულის გამოსაგზავნი აღრესი: Тифлисъ редакция „Дრობა“, И. С. Агладзе.

გამოდის 1910 წ. საშვაწვილო სურათებიანი შუხანალი

„ნაკადული“

წელიწადი შეეძესე,

ხელის მოწერა მიიღება თფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი, 8 და. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მალაზიაში თავად-ახანაურობის ქარვასლა).

1910 წლის 1-ლ იანვრიდან 1911 წლის 1-ლ ნახევრამდის მიეცემა ხელის მომწერლებს: 24 წიგნი მკირეწლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის. გარდა ამისა მიეცემა პრემიათ საბავშვო უნივერსიტეტი საშეცნიერო პოპულიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის:

1 დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი—ზღაპარი ევალდისა, 2) მარჯნები—ზღაპარი ევალდისა, 3) თორმეტი და—ზღაპარი ევალდისა, 4) ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა:

წლიურათ — ხუთი მანეთი.
ნახევარ წლით ორივე გამოცემა — სამი მანეთი.

საზღვარ-გარეთ..

წლიურათ — შვიდი მანეთი,
ნახევარი წლით — ოთხი მანეთი.
მკირე-წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მანეთი,
მოზრდილთათვის 12 წიგნი — 3 მანეთი.
რედაქტორი: მარამ აჯახეს ასუდა დემურასია.
გამომცემელი: თ. შავლე იასუბას ძე თუმანიშვილი.